არქივარიუსები - ნეორომანტიზმის დამკვიდრების მცდელობა

“მე შევეცდები გადმოგცეთ ჰუმანურის ესთეტიკა. ლაპარაკი იქნება საცხოვრებელზე, მეზობლობასა და სამშობლოზე, ფულსა და სიყვარულზე, რელიგიასა და საჭმელზე”.

ჰაინრიხ ბიოლი “ფრანქფურტის ლექციები”

შვიდი წლის წინ - 1984 წელს, “არქივარიუსებმა” პირველი გამოფენა მოაწყვეს გიორგი ლორიას სახლში. ამ გამოფენით დაიწყო გადარჩენის და სასიცოცხლო სივრცის მოძიების და დამკვიდრების პროცესი, რომლის შედეგია “მეათე სართულის” ძალზე ინტენსიური მოღვაწეობის ფარგლებში ქართული ტრანსავანგარდული ფერწერის ჩამოყალიბება და გაფორმება.
არქივარიუსთა გამაერთიანებელია პიროვნული თავისუფლების დაფასების და უკიდურესობათა შეუბრალებლობისაგან თავის დაზღვევის პათოსი. ამ გზის დასაწყისშივე მათთვის განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასი იყო გერმანული რომანტიზმი, მისაბაძი კი დიდი ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის პერსონაჟი, - არქივარიუსი ლინდჰორსტი; სამყაროს მრავალფეროვნებით აღტაცების, შემჩნეულის გაცხადების უნარი, შესაძლებელს ხდის ურთიერთისა და გარშემო მყოფთა გამხნევებას და მხარდაჭერას. ანქეი ვაიდას თქმით, ხელოვნება მართლაც ცვლის ცხოვრებას, სამწუხაროდ, იმაზე ნაკლებად, ვიდრე ეს თვითონ მხატვრებს უნდათ, მაგრამ მაინც უფრო მეტად ვიდრე მეფეებსა და დიქტატორებს წარმოუდგენიათ.
დღეს “არქივარიუსთა” ხელოვნება შეიძლება განვიხილოთ მსოფლიო ტრანსავანგარდისტული მხატვრობის კონტექსტში (ჯ.შნაბელი, ფ.კლემენტე, ა.რ.პენკი, ოდ ნედრუმი, მ.მორლი, გ.ბაზელიცი). სოფიალური პრობლემების და პარადოქსების დემონსტრირებისათვის “არქივარიუსები” ხშირად იყენებენ კიჩის კონცეპტუალურ იმიტაციას და ტრივიალური ხელოვნების ყოველთვის ცოცხალ ზონებს.
ეროვნული ტრადიციიდან “არქივარიუსებისათვის” ძვირფასია ყველაფერი ის, რაც პიროვნების თავისუფლებისა და მისი განსაკუთრებულობისადმი მოწიწების დასამკვიდრებლადაა შექმნილი.

1984 წლის ზამთრის ბოლოს, გიორგი ლორიას სახლში შეკრებილთ “არქივარიუსები” XIX ს-ის საზეიმო სამხედრო მარშებით შეხვდნენ. იქ იმ დროს მყოფთ ალბათ არასდროს დაავიწყდებათ იმჟამინდელი უცნაური მღელვარება, გია ბუღაძის შესავალი სიტყვა.
“არქივარიუსები” მადლობას უხდიან ყველა თავის თანამგრძნობსა და მეგობარს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი: ბ-ნ დიმიტრი თუმანიშვილს, ბ-ნ გურამ ლორიას, ბ-ნ არჩილ დარჩიას და ქ-ნ მანანა ვადაჩკორიას; ბატონებს: გიორგი მარჯანიშვილს, დათო ხოშტარიას, ლევან ჭოღოშვილს, კახა მელითაურს, გია ბუღაძეს და ქ-ნ ანი კლდიაშილს; აგრეთვე თავიანთ უცხოელ მეგობრებს: ჰელენა ლუნდბერგს, ჰანს ლაბლერს, ეკეჰარდტ მაას, ანდრეი ჟდანოვს, იგორ კაშკურევიჩს, ერასტ კუზნეცოვს, ევგენი ბარაბანოვს, ბახიდ ბაპიშევს, მარტინ ვებერს, ტანია კოლოდზეის, სერგეი კუსკოვს, მიხა ბოგაჩნიკს, ანდრეას მეერს, ფრანსუაზა ფრიდრიხს.